საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№138 (6364) 17 ნოემბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

**დედაქალაქში ორ დღეს მიმდინარეობდა და მუშაობა დაასრულა საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ. ქართველმა ხალხმა გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე. გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია ულოცავს სრულიად საქართველოს ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას და გარდამავალი პერიოდის ეროვნულ პარლამენტს უსურვებს, რაც შეიძლება მალე აეფრიალებინოს თავისუფლების დროშა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რასაც მოვესწარ

... თვით ყველაზე უხუცესსაც არ ახსოვს ყველაფერი. შეკითხვები?—პასუხი: „არ მოვსწრებივარ“!.

არც მე მოვსწრებივარ... მე არ მოვსწრებივარ არც ფარნაოზს, არც წმინდა ნინოს, მაგრამ მე მიყვარს ფარნაოზისეული ქართული ანბანი და უსაზღვროდ მწამს ნინოს მიერ ნაქადაგები ქრისტიანობა.

მე არ მოვსწრებივარ, თუ როგორ დიდგორობდა დიდგორი, როგორ შამქორობდა შამქორი, როგორ იბასიანეს, როგორი სამარცხვინო იყო ჩვენთვის კრწანისი. მე 9 აპრილს მოვესწარი და... შემრცხვა.

მე არ მოვსწრებივარ, როგორ ელვარებდა ფარსმანის მიერ საიდუმლოდ ნაჭედი ხმლები ბიზანტიელების წინააღმდეგ, მაგრამ მოვესწარი როგორ დატრიალდა ორლესული ბარი და ნიჩაბი რუსთაველზე.

მე არ მოვსწრებივარ, როგორ შეიღება კრწანისი სამასი არაგველის მჩქეფარე სისხლით, როგორ მიითვისა მარაბდის ხაძმო სასაფლაომ ცხრა ძმის უზიარებელი სხეული, მაგრამ მოვესწარი რუსთაველის ქვაფენილი რომ სისხლით ირწყვებოდა...

მე არ მოვსწრებივარ ვინ ჩოლოყაშვილობდა, ვინ მხარგრძელობდა, ვინ გიორგობდა. არც იმას მოვსწრებივარ, როგორ დუმდა მკერდზე თაფლწასხმული ცოტნე დადიანი. მაინც ვიწამე, ვიწამე და შევიყვარე.

მე მერაბ კოსტავას ბოლესწარი, და ვერც მოვესწარი. მთავარი ის არის, რომ თავად მერაბი მოესწრო იმას, რასაც მთელი ერის სიყვარული და თანადგომა ჰქვია.

...და ყველაზე ნამდვილს, რასაც მოვესწარ 1990 წლის 28 ოქტომბერი იყო. ყველაზე ნამდვილს, რასაც მოვესწარ ეს ის იყო, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვიწამე: მრავალ ტანჯვას მოსწრებული ჩემი ძირძველი საქართველო სიცოცხლეს ახლებურად იწყებს!.

**შორენა ხეცურიანი**

თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების I კურსის სტუდენტი.

## რთვლის დღიური

**გვიანი შემოდგომის დღეებია. ღამით ყინავს, მაგრამ დღისით მზიანი ამინდებია. სოფლის მშრომელები ჩქარობენ მოსავლის აღებას. ყველაზე სასწრაფო ახლა რთველია, როგორც ცაგერის ღვინის ქარხნის 16 ნოემბრის ცნობიდან ჩანს, სულ რაიონის ზვრებში მოკრეფილი და ღვინის საწარმოებს ჩაბარებულია 2066 ტონა ყურძენი. ბარაქიანი რთველი აქვთ ორბელისა და უსახელოს სასოფლო საბჭოების მშრომელებს, ყურძნის უხვ მოსავალს იწევენ თვით ორბელის, ლაჯანის, ლაცორიის, ლეშკედის, სპათაგორისა და უსახელოს, ხოჯისა და გაგულეჩის მცხოვრებნი. რაზეც მეტყველებს ის, რომ ორბელის ღვინის საწარმომ უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე წელს პირველად შეასრულა გეგმა და გადასამუშავებლად ნაცვლად 1187 ტონისა 1377 ტონა ყურძენი მიიღო. საწარმო კვლავ აგრძელებს ყურძნის მიღებას, მომზადებული შეხვდნენ რა რთველს, გეგმური თუ ზეგეგმით მიღებული ყურძნის მიღება-გადამუშავების ყოველგვარი პირობები აქვთ.**

**ცაგერის ღვინის საწარმოში გადასამუშავებლად მიღებულია 250 ტონა ყურძენი, ტვიშის ღვინის საწარმოში—164, ოყურეშის საწარმოში—275 ტონა. სულ 16 ნოემბერს რაიონში ღვინის საწარმოებს 132 ტონა ყურძენი ჩაბარდა. ყურძნის საშუალო შაქრიანობა 18,1 პროცენტია.**

**რთველი კვლავ გრძელდება. ყურძნის დამზადების საგეგმო დავალების შესრულებისათვის ზრუნვა თითოეული მშრომელის, რაიონის თითოეული მევენახის უპირველესი საქმეა.**

ლამაზია ქართული შემოდგომა, მსუყე და სურნელოვანი, მეტადრე ლეჩხუმში, როცა ოჯალეშის და ცოლიკაურის ვაზი დამკრახული მტევნებით იმზირევენახი, არამედ ვაზის სანიმუშო ხეივანით და მწკრივებით. ეს ლაჯანაში ყველამ იცის. ჩვენც ვიცით, არაერთხელ დავმტკბარვართ დახუნძლული „ოჯალეშის“

## ქვეყანას ასეთი კაცი სჭირდება

ბა და ადამიანს თავისკენ მაცდურად იზიდავს. მაცდურადო, სიტყვისათვის, თორემ, ვინც ოფლი ღვარა და ზრუნვა არ მოაკლო, სამადლობლად მოსავალიც მას ეკუთვნის. ქართველი კაცი ვენახს რომ შეხედავს, მისი ავკარგით შეუძლია გამოიცნოს, რა ჯურის ადამიანია პატრონი, ამაზე ნახელავი აშკარად ღაღადებს.

და თუ ეს ასეა, გრიშა ლეშკაშელს ბევრი შეუქებს მარჯვენას. ამ კოჟრიანი მარჯვენის ქება არა ერთხელ თქმულა და დაწერილა. იგი ვაზის ნამდვილი მესაიდუმლეა. მარტო მოსავლით კი არ არის მიმზიდველი მისი ტალავერით. ამას სხვის დასანახად კი არ აკეთებს, არამედ სისხლში აქვს გამჯდარი—რთველში მარტო სიუხვით კი არა, სილამაზითაც უნდა დატკბეო.

აღარც კი ახსოვს, დაუსწრია თუ არა ოდესმე მზეს მისთვის ადგომა, მზის პირველი სხივები ხის კენწეროებს რომ შეეთამაშება, ის უკვე დაღლილია შრომით ზვარში ან კარმიდამოში. დღეს, როცა კოლმეურნეები გლეხურ მეურნეობებში შრომობენ, ბატონი გრიშასათვის ამ ფორმას არაფერი შეუცვლია, მუდამ ბავშვივით ეფერებოდა ვაზს და ახლაც ძღია. თავდაუზოგავი გარჯით, რაც თავი ახსოვს, მუდამ კარგი მოსავალი მოჰყავს. რა დიდი ჯაფა უნდა მერე ამ დალოცვილ ვაზს. 0,3 ჰექტარი ზვარიდან შარშან ოთხი ტონა ყურძენი მოიწია, მიმდინარე წელს კი 4,7 ტონა, აქედან მარტო ოჯალეში 3,5 ტონა.—ოღონდ ქვეყნის ეკონომიკას ეშველოს, ახალგაზრდებს თავისუფალი, ბედნიერი საქართველო მოესწროთ და შრომას როგორ დაიზარებო, ამბობს იგი. წლები? არავინ იფიქროს, მათ სიმძიმეს გრძნობდეს ვეტერანი მევენახე. ისეთი მუშაობა იცის, ბევრი ახალგაზრდა ვერ დაიტრაბახებს. ტყუილად როდია ნათქვამი—ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო...

სახელოვანი კაცი, ჯილდოების მფლობელი, ცოცხალი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისა. როცა ეტყვიან—ე მაგ სიმხნეის საიდუმლოება რაშიაო, უპასუხებს: შრომაში... დროს ვაზის სიყვარულსა და მოვლა-მოფერებაში ვატარებო.

დღეს ასეთი კაცი ქვეყანას მართლაც რომ ბევრი სჭირდება.

**ბ. ბაძრაძე.**

**აღვადგინოთ ტრადიციული ეროვნული დარგი**

## შეიქმნა ასოციაცია „აბრეშუმი“

საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ეროვნული დარგია მეაბრეშუმეობა. მას შემდეგ, რაც თავი იჩინა ისეთმა საშიშმა დაავადებამ, როგორიცაა „წვრილფოთოლა სიხუჭუჭე,“ იგი უმძიმეს დეგრადაციას განიცდის. ცოცხალი აბრეშუმის პარკის წარმოება 1964 წელს მიღწეული 4400 ტონიდან უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ვერა და ვერ ასცდა 1700-1800 ტონას, ხოლო დაავადების ზონაში (დასავლეთ საქართველო) 3700 ტონიდან 850 ტონას შეადგენს.

მეაბრეშუმეობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ დაავადებასთან ერთად იყო ცოცხალი აბრეშუმის პარკის მცირე შესაძყიდი ფასები, რის გამოც ამ ძვირფასი ნედლეულის წარმოებით აღარ იყვნენ დაინტერესებული არც საზოგადოებრივი მეურნეობები და არც მეაბრეშუმეები, ამის გამოა, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე დარგს ჩამოშორდა 115 ათასი მეაბრეშუმე, მათ შორის ბოლო ხუთ წელიწადში 12 ათასი, ხოლო ჩვენს რაიონში მეაბრეშუმეთა რიცხვი 2500 იყო და ამჟამად 1800-ია.

დარგის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს ისიც, რომ მეაბრეშუმეებს წლების მანძილზე არ მიუღიათ აბრეშუმხვევიას დაავადების მიმართ გამძლე და საერთოდ მაღალი გამძლეობის თუთის ახალი ჯიშები და ჰიბრიდები, ხოლო არსებული ჯიშები ვერ იძლევა სასურველ ეფექტს.

ახლა, როცა მსოფლიო ბაზარზე დიდად გაიზარდა აბრეშუმის პარკზე, ნატურალურ ძაფსა და ქსოვილზე მოთხოვნა, დარგის შემდგომი განვითარების დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური განმტკიცებისა და სავალუტო მიმოქცევით ეროვნული შემოსავლის გადიდების დაჩქარებისათვის, დემოკრატიისა და სრული ნებასურვილის საფუძველზე შეიქმნა საქსახაგრომრეწვის მეაბრეშუმეობის სათაო საწარმოო-საკოორდინაციო ასოციაცია „აბრეშუმი“, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს საქსახაგრომრეწვის მეაბრეშუმეობის სათაო საწარმოო-სამეცნიერო ცენტრის და მისი სისტემის აფხაზეთის ასსრ კანტორას, აჭარის ასს განყოფილებას, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განყოფილებებს (რაიაბრეშუმებს), საგრენაჟო ქარხნებს, თუთის სანერგე საბჭოთა მეურნეობებს, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში და იქ, სადაც არაა მეურნეობები, სოფლად შექმნილ აბრეშუმის პარკის მწარმოებელთა კავშირებს (მეაბრეშუმეობის გაერთიანებებს).

ამას წინათ ჩატარდა ახლადშექმნილი სათაო საწარმოო-საკოორდინაციო ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომლის მონაწილეებმა შეიმუშავეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა მოქმედი, ახლად დამწყები და ყოფილი მეაბრეშუმეებისადმი, ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, საზოგადოებრივ-საქველმოქმედო ორგანიზაციის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისადმი გთავაზობთ მიმართვის ტექსტს გაეცნოთ მე-2 გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასოციაცია „აბრეშუმის“ დამფუძნებელი კონფერენციის

# მ ი მ ა რ თ ვ ა

# რესპუბლიკის მშრომელებისადმი

ვინ იცის, რამდენჯერ აუოხრებიათ და მიწასთან გაუსწორებიათ ერის ძლიერებისა და სიამაყის ერთ-ერთი ძირძველი დარგი—მეაბრეშუმეობა, მაგრამ ბოლომდე ვერ ამოძირკვეს თუთა, ვერ გადააშენეს ოჯახის თხუთმეტსაუკუნოვანი ბინადარი—აბრეშუმის ჭია.

საუბედუროდ, ახლა უფრო გაუჭირდა ადამიანის სიკეთისათვის საგსე აბრეშუმხვევიას. რაც შაჰ-აბაზმა აღმოსავლეთ საქართველოში ვერ შეძლო, იმაზე მეტი შეძლო დასავლეთ საქართველოში 1963 წელს იაპონიიდან უგნურებით შემოტანილმა დაავადებამ თუთის „წვრილფოთოლა ჯიხუჯუჯემ“, რის შედეგადაც ორი ათეული წლის მანძილზე გახმა და ამოიძირკვა 20 მილიონ ძირზე მეტი თუთა, შემცირდა ცოცხალი აბრეშუმის პარკის წარმოება საშუალოდ წლიურად 3700 ტონიდან 850 ტონამდე. ამავე პერიოდში მეტისმეტად ნელა იზრდებოდა მისი წარმოება აღმოსავლეთ საქართველოშიც, სადაც ეს საშიში დაავადება არ გავრცელებულა.

მაშინ, როდესაც მეაბრეშუმეობის საშველად ქუდზე კაცი უნდა გამოსულიყო, ხელოვნური ქსოვილების თავბრუდამხვევი ქაოვითა და რეალიზაციით გაუფასურდა აბრეშუმის პარკისა და ნატურალური ქსოვილების წარმოება, რაც მთავარია, მეაბრეშუმის შრომა, რის გამოც ბევრმა აიღო ხელი ამ ძვირფასი ნედლეულის წარმოების საუკუნოვან ტრადიციებზე, 1964 წლიდან დღემდე დარგს ჩამოშორდა 120 ათასამდე მეაბრეშუმე.

ჩვენო ყოფილო კოლეგებო! მოქმედო და დამწყებო მეაბრეშუმეებო, ახლა, როდესაც ქოფლიო ბაზარმა პირი იბრუნა აბრეშუმის ნატურალური ქსოვილებისაკენ და სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნა ამ ძვირფას ნედლეულზე, თავისთავად ისმის კითხვა, არის თუ არა იმის რეალური და ობიექტური პირობები, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში დავაჩქაროთ ამ ეროვნული დარგის აღორძინება? დიახ, არის!

მეტისმეტი დაგვიანებით, მაგრამ მაინც საქართველოს მთავრობის 1990 წ. 26 ოქტომბრის №598 დადგენილებით ყოველი ერთი კილოგრამი ცოცხალი აბრეშუმის პარკის შესასყიდი ფასი 1991 წლიდან განსაზღვრულია:

რჩეულის—26 მანეთი, პირველი ხარისხის—25 მანეთი, მეორე ხარისხის —20 მანეთი, მესამე ხარისხის—17 მანეთი, ანუ სულ ხარისხიანი ნარევის საშუალო ფასმა შეადგინა 21 მანეთზე მეტი, როცა მისი მოქმედი ფასები არ აღემატებოდა 9,5-10 მანეთს. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა საჯიშე სანაშენო ცოცხალი აბრეშუმის პარკის შესასყიდი ფასები.

ისაზება ღონისძიებანი ჰაერმშრალი აბრეშუმის პარკის, ძაფისა და ქსოვილების ერთი ნაწილის ინტეგრაციის საფუძველზე საზღვარგარეთ გატანისა და სავალუტო რესურსების მატერიალური დაინტერესების ამაღლებისათვის და სხვა.

ძვირფასო მეგობრებო! როცა აბრეშუმის ჭიის გამოცოცხლებიდან პარკის ახვევამდე სულ რაღაც ერთ თვეში საშუალოდ ოჯახს შეუძლია გამოკვებოს 2-2,5 კოლოფი აბრეშუმის ჭია და მიიღოს 100 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ანუ 2000 მანეთზე მეტი, არავინ არ უნდა დარჩეთ გულნაკლული, მით უმეტეს, როცა ამ მოკლე დროში სხვა ძირითადი კულტურის გვერდით საკმაოდ ღირსეული წვლილი შეგიძლიათ შეიტანოთ საკუთარი ოჯახისა და ჩვენი საქართველოს კეთილდღეობაში.

როცა ერთი კილოგრამი ცოცხალი აბრეშუმის პარკის წარმოებისათვის საჭიროა მაქსიმუმი 24-26 კილოგრამი თუთის ფოთოლი, ნუთუ მატერიალური ანაზღაურების ამ პირობებში არ უნდა მოსინჯოს ძალები, ვისაც არასდროს არ მოუყვანია აბრეშუმი, მაგრამ აქვს ამის შესაძლებლობა? რატომ უნდა უყურონ ამ ეროვნულ საქმეს შორიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, პროფტექნიკურმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა, თუ მათ სურთ თავიანთი კაბინეტ-ლაბორატორიები შეავსონ თანამედროვე ხელსაწყო-იარაღებით? ცოცხალი აბრეშუმის პარკი შეიძლება მოიყვანონ ქალაქ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის და სხვა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობამ, როცა აქ საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღრიცხული თუთის ხეები. არაფერს არ ვამბობთ სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომლებსაც თუთის ხეები საჩრდილობლად გაუხდიათ და გაჭირვებაში ჩავარდნილ მეაბრეშუმეებზე თუთის ფოთოლს მამასისხლად ყიდიან.

ნუთუ ჩვენს რიგებს არ უნდა დაუბრუნდნენ სხვადასხვა დროს ამ დარგს ჩამოცილებული კოლეგები, მათ შორის განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ყოფილი მეაბრეშუმეები, დაავადებით გაწბილებულებმა თავიანთი ოჯახის შესანიშნავ ტრადიციებს რომ უღალატეს და საერთოდ შეიჯავრეს თუთა და აბრეშუმხვევია?

აბრეშუმის პარკის, ანუ იგივე ვალუტის ოქროს რეზერვები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მაღალმთიან რეგიონებს, თითქმის ყველგანაა, სადაც კი ხარობს თუთა, სადაც ამ დიდი, კეთილშობილური საქმისათვის ადამიანებს აღმოაჩნდებათ სურვილი და მონდომება.

ძვირფასო მეგობრებო! ამოგვიდექით მხარში დარგის აღორძინების ამ სასახელო და საშვილიშვილო საქმეში, თქვენი ღირსეული წვლილი შეიტანეთ თუთის მაღალპროდუქტიული ნარგავების გაშენების, გახარებისა და ცოცხალი აბრეშუმის პარკის წარმოების გადიდებისათვის შრომაში.

# რ ე ზ ო ნ ა ნ ს ი

1990 წლის 8 ნოემბერს გაზეთ „ლეჩხუმში“ გამოქვეყნებული იქნა წერილი სათაურით „არ დააგდებ ძველსა გზასა?!.“ წერილში ამბ. სილაგაძის მიმართ აშკარა ცილისმწამებლური ფრაზებია განვითარებული. მოვიყვან ციტირებას:

„...ამდენმა მოთმინებამ და პატიებამ პროკურორზე უარყოფითად იმოქმედა. მას შეექმნა ყოველისშემძლეობის ილუზიები და ეს გამოავლინა კიდეც არჩევნების დღეს. იყო რა მიმაგრებული კომპარტიის მიერ ორბელის საარჩევნო უბანში, ის კანონის უხეში დარღვევით ეკითხებოდა ამომრჩევლებს, თუ ვის მისცეს ხმა და როცა მიიღებდა პასუხს, რომ ხმა მისცეს „მრგვალ მაგიდას“, ის ემუქრებოდა ამომრჩევლებს და აცხადებდა, რომ ისინი დარიგებულნი არიან. უფრო მეტიც: ქალბატონმა პროკურორმა ხმის მისაცემ შენობაში შეიყვანა რაიკომის თანამშრომელი მარინე ბურჯალიანი“..

წერილში მოყვანილი აზრები სინამდვილეს არ შეესაბამება. არ ყოფილა შემთხვევა პროკურორს მოქალაქეებისათვის გამოეკითხა, თუ ვის მისცეს ხმას. იგი თავისი პოზიციით თანაბრად უპერდა მხარს „მრგვალ მაგიდას“, კომპარტიას და დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს. არ ყოფილა შემთხვევა სილაგაძე ვინმეს—ამომრჩეველს დამუქრებოდა იმ მოტივით, რომ მას ხმა მიეცა რომელიმე მისთვის საინტერესო პარტიის ან დეპუტატობის კანდიდატისათვის.

სილაგაძეს რომ რაიმე დავა ჰქონოდა ამომრჩევლებთან, ის უსათუოდ ჩემთვის, როგორც სხვებისათვის, გასაგები გახდებოდა, რამდენადაც ხალხი არჩევნებით დაინტერესებული იყო და პირადად მეც მთელი დღით არჩევნების დასრულებამდე ყურადღებით ვიყავი შენობის გარეთ, საჭიროების შემთხვევაში ტექნიკით დახმარების მიზნით.

რაც შეეხება სილაგაძის მიერ მარინე ბურჯალიანის მოყვანას, არაა სწორი. მარინე ბურჯალიანი არჩევნების დაწყების მომენტიდან იყო მისული. პროკურორმა დაავალა ნახევარი საათით. ბურჯალიანი სილაგაძეს საარჩევნო უბანში დახვდა.

ბოლოს გაზეთში მითითებულია „პროკურორი ძველი ინერციით ხალხს ცხვრის ფარად მიიჩნევს, რომელსაც საითაც გინდა, იქით მიუქცევ თავს“.

ლეჩხუმი ოდითგანვე ცნობილია მისი ძველი კულტურით და მყოფადობით. საკმარისია, მოვიხსენიოთ ძველი ისტორიკოსის, მკვლევარის და იურისტის ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები და შეხედულებები ლეჩხუმსა და მის მცხოვრებლებზე, სადაც ხაზგასმითაა გადმოცემული მათი ბუნება: „აეროვანნი“, ამაყნი“ და სტუმარმოყვარე. ამით მინდა ვთქვა იგი, რომ ლეჩხუმელი ხალხი არავის ცხვრის ფარად არ გაუვება და არც ეკადრება ხალხს პირუტყვთან გაიგივება. ასეთით მიმაჩნია უდიდეს შეურაცხყოფას აყენებს ავტორი ხალხს, მათს შრომასა და კულტურას.

საზოგადოების თვალთახედვის პოზიციებიდან ვიცნობ ამბ. დ. სილაგაძეს მუშაობის, მისი შრომითი მოღვაწეობის დაწყების დღიდან. იგი ხასიათდება დადებითად, არის საქმიანი და პრინციპული და, რაც მთავარია, პატიოსანი და ავტორიტეტული,—დიდთან დიდი და პატარასთან პატარა. მის თავმდაბლობაში მკვეთრად ვლინდება საქმისადმი კეთილი და ობიექტური დამოკიდებულება, რაც შესაბამისად ნდობისა და ერთგულების საფუძველია საზოგადოებაში მისდამი. გამომდინარე აქედან, ვერ დავეთანხმები წერილში გადმოცემულ აზრს იმის შესახებ, რომ იგი იყოს „ყოვლის“ შემძლე ან „დიქტატის“ მოყვარული.

მოქალაქე ჭაბუკიანი.

რედაქციისაგან: ავტორის, ორბელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ვაჟა ჭაბუკიანის სტილი დაცულია.

# ძმის საფლავი დავადგინე

ძვირფასო რედაქცია! თქვენი გაზეთის ამა წლის 15 სექტემბრის ნომერში წავიკითხე სტატია „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, საიდანაც გავიგე, რომ ჩემი ძმა შალვა ონისიმეს ძე ხუციძე დაკრძალულია უკრაინის ქალაქ ნიკოპოლში.

ვცხოვრობ ცაგერის რაიონის სოფელ საირმეში. ჩვენი ოჯახიდან ომში გაწვეული იყო სამი ვაჟკაცი, ომიდან კი მხოლოდ მე დავბრუნდი. ჩემს ორ ძმას აწ განსვენებული მშობლები სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. საფლავში თან ჩაჰყვათ შვილების ნახვის ნატვრა. ჩემი ძმა შალვა ონისიმეს ძე ხუციძე 1943 წელს, როცა იგი მხოლოდ 18 წლის იყო, გაიწვიეს სავალდებულო სამსახურში, საიდანაც გაყვანილ იქნა ფრონტზე. მიღებული გვაქვს მისი ორი წერილი (1943 წლის 19 ნოემბერს და 8 დეკემბერს) სულ ეს იყო.

1941 წელს პირველი მობილიზაციით იქნა გაწვეული ჩემი მეორე ძმა რუბენ ონისიმეს ძე ხუციძე. მისი წერილები ცოტა ხანს მოდიოდა, მაგრამ მალე შეწყდა და მას შემდეგ აღარაფერი გაგვიგია.

მე ერთადერთი დავრჩი მშობლების ფუძეზე. დები უენია და საშა გათხოვილი არიან ორბელსა და ქუთაისში.

გვინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ლეონიდ იგნატენკოს ჩვენი ძმის საფლავის დადგენაში.

არჩილ ხუციძე,
სოფ. საირმე.

# დამსახურებული აღიარება

ოქრის მედლითა და ლაურეატის დიპლომით დაბრუნდა მშობლიურ მხარეში ცაგერის ქალთა კამერული გუნდი რუსეთიდან ყურაშვილის ხელმძღვანელობით. ეს მხატვრული კოლექტივი მონაწილეობდა აკადემიური გუნდების საკავშირო ფესტივალ-კონკურსში, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა ქალაქ სარატოვში.

—გუნდმა წარმატებით გაიარა ყველა საკონკურსო გამოსვლა,—უთხრა საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ კორესპონდენტს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ცენტრის განყოფილების გამგემ დოდო თაქთაქიშვილმა.—ცაგერელმა მომღერლებმა დაიმსახურეს დათვალიერების სპეციალური პრიზებიც.

ცაგერლების შესრულებით მოისმინეს ქართული ხალხური სიმღერები და საგალობლები. საგუნდო სიმღერა უკრაინულ ხალხურ თემებზე, ორი სიმღერა ჯემალ ბეგლარიშვილის ვოკალური ციკლიდან და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ცაგერის გუნდი არ შემოფარგლულა მარტოოდენ ამ კონკურსში მონაწილეობით. მას შეხვედრები ჰქონდა ქალაქის შრომითს კოლექტივებთან. სარატოვის კონკურს-ფესტივალი ხალხური შემოქმედების III საკავშირო ფესტივალის პროგრამის ნაწილი იყო.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირულ-
იუმორისტული
გვერდი № 5

# „ოჰ, ეს პოლიტიკა“...

ჩვენს იუმორისტულ კლუბს ახალი წევრი შეემატა—ბატონი გახტი გაპარჭყალაშვილი, იგი ძირითადად პოლიტიკაში ცდის თავის ძალებს. გთავაზობთ მოკლე ნაწყვეტებს მისი სადისერტაციო ნაშრომიდან: „ოჰ, ეს პოლიტიკა“...

* * *

პაციენტი: მიშველეთ ექიმო, რასაც ვფიქრობ, იმას არ ვლაპარაკობ და რასაც ვლაპარაკობ, იმას არ ვაკეთებ.

ექიმი: ჩვენ სტალინიზმისაგან ვერ ვკურნავთ.

* * *

ინდიელებმა შეიპყრეს ფრანგი, ინგლისელი, რუსი და შეჭმა მოუნდომეს. ბელადმა მოწყალება მოიღო და ბრძანა, თუ ისეთ რაიმეს დაგვისახელებთ, რაც ჩვენ არა გვაქვს, არ შეგჭამთო.

გამოვიდა ფრანგი და თქვა: თქვენ ისეთი ლამაზი ქალიშვილები არ გეყოლებათ, როგორიც საფრანგეთსა ჰყავსო.

ბელადმა ტაში შემოჰკრა და გამოჩნდნენ მოგოგმანე მზეთუნახავები, რომელთა სილამაზე ნებისმიერ ლამაზმანს შეშურდებოდა.

ფრანგს თავი მოჰკვეთეს და შეჭამეს.

გამოვიდა ინგლისელი და თქვა:

—თქვენ ჩვენსავით ძლიერი ფლოტი არ გეყოლებათო.

ბელადმა კვლავ შემოჰკრა ტაში და ჰორიზონტზე გამოჩნდა უზარმაზარი საზღვაო ფლოტი.

მოჰკვეთეს თავი ინგლისელსაც და შეჭამეს.

შიშით აკანკალებულმა რუსმა გაუბედავად თქვა:

—თქვენ პოლიტბიურო არ გეყოლებათო.

ბელადმა გაკვირვებით გადახედა ქვეშევრდომთ. მათ მხრები აიჩეჩეს. ასეთი რამ ჯერ არ სმენოდათ.

—მაშ, კაციჭამიობა ვის გასწავლათო?—იკითხა გაოცებულმა რუსმა.

* * *

რაიკომის მუშაკი ესტუმრა კოლმეურნეობას, რომელზეც „მიმაგრებული“ იყო. წინ შემოხვდა ყანაში მიმავალი, მხარზე თოხგადებული გლეხი. რადგან უკვე გვიანი იყო, „მიმაგრებულმა ამხანაგმა“ მრისხანედ ჰკითხა გლეხს:

—რა დროა ახლა?

—რა ძმა, არც შენ მოგწონს აი დროი?

# ფაქტი დაგვიანებული კომენტარით

„ტაილანდის პოლიციამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო კომუნიზმთან ბრძოლის ახალი იარაღი—10 ათასი ნაჯერი საპონი. თურმე ამ საპონს ხელზე რომ წაისვამთ და აიკაფებთ, მის ზედაპირზე მკაფიოდ ჩნდება წარწერა: „კომუნისტები—საშიში ხალხია!“ თუ თქვენ მეორეჯერ იხმართ ამ საპონს, მაშინ მასზე წაიკითხავთ, რომ კომუნისტები, ამასთან ერთად, „ცუდი ხალხიც“ არის, რომ მათ უნდა ერიდოთ და ა. შ.

კომუნიზმთან ბრძოლის ამ ახალი, ორიგინალური იარაღის ეფექტურობა ჯერ შეუმოწმებელია. ტაილანდის პოლიცია მას ჯერჯერობით მეტად ძნელი საქმისათვის—თავისი ჭუჭყიანი ხელების დასაბანად იყენებს“.

ჟურნალი „დროშა“

1975 წელი.

კომენტარი 15 წლის შემდეგ: როგორც ჩანს, კომუნიზმთან ბრძოლის ეს ახალი, როგორც რეპლიკის ავტორი ამბობს, ორიგინალური იარაღი ძალზე ეფექტური აღმოჩნდა. დამპალ იმპერიალიზმთან ბრძოლაში დამარცხებული კომუნიზმი ისე გაიპარა, აჩრდილიც აღარ ჩანს მისი. გაიპარა და უსაპნოდაც დაგვტოვა, ალბათ იმის შიშით, იდეოლოგიურმა მტრებმა ამერიკული საპონი არ შემოგვაპარონ და „დიდმა საბჭოთა ხალხმაც“ არ წაიკითხოს ეს მკრეხელური სიტყვები, ვინ იცის, იქნებ დაიჯეროს კიდეცო. ჩვენც რაღა დაგვრჩენია, დღეს, უსაპნობა—უბენზინობა—უანანთობა—უმარილობის პერიოდში, ისევ ამერიკელებს უნდა შევეღმერთოთ: ცოტაოდენი საპონი მაინც გამოგვიგზავნეთ. კომუნიზმის აპოლოგეტების სახის ჩამობანას აღარ დავეძებთ, იქნებ ხელის დაბანა მაინც მოვახერხოთ კვირაში ერთხელ, თუნდაც ყოველი დაბანისას ზედ ნეონის რეკლამა ინთებოდეს: „კაპიტალისტები შესანიშნავი ხალხიაო“.

ჩვენი პოლიტიკური მიმომხილველი.

# კავკალ გულში

## ექსპრეს - ინფორმაცია

თითქმის ყოველ დილით, ქალაქის ცენტრში, ზედ სტალინისა და ლენინის ქუჩის გადაკვეთაზე, გამოჩნდებიან კოხტად მოფარფაშე, თავაწეული, დინჯი... ინდაურები. სწორედ აქ, ამ ორი ქუჩის გადაკვეთაზე განსაკუთრებით კარგად გრძნობენ ისინი თავს. იქნებ იპოვეს საკუთარი ადგილი? რედაქციაში გვირეკავენ, მოდიან თხოვნით, რომ ამ პატიოსან, მშვენიერ ფრინველებს აქ, ქალაქის ცენტრში დავუდგათ საჩხე, რაც გაუადვილებს მათ თავისუფალი დროის კომფორტულად გატარებას. სანამ უბედურება დატრიალდებოდეს და ინდაურები მანქანის ბორბლებში მოექცევიან, მივხედოთ მათ და დავუდგათ კაპიტალური საჩხე გაობობით და თბილი წყლით!

* * *

ქალაქის შრომითი მოწყობის ბიურო აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების

დასაკავებლად:

მდივანმემარჩინე (2 ადგილი);
კომპერატივის მუშა (9 ადგილი);
ფულკომბინატის მცხობელი (1 ადგილი);
რაისკავშირის გამგეობის წევრი (1 ადგილი);
იჩქარეთ... იჩქარეთ! (საით?)

# კოლექტივი დაიშალა

კოლექტივი დაიშალა, მიწის მუშამ გაიხარა,
თავმჯდომარე ისევ „მეფობს“, დანარჩენმა ვერ იხარა.
ბუღალტერმა „ჩოთქს“ ხელი ჰკრა, რაღა უნდა ჩამოყყარო,
ვოლგა მაინც შემეძინა, ახლა ვისღა რა მოვპარო?!
მოანგარიშე საბუთებს აქეთ-იქით ერეკება,
ამ გლეხურის გამომგონეს—სასიკვდილოდ ეჩემება.
საწყობის გამგე ნერწყვს ულაპავს, რაღა ცეცხლი გადავმალო,
ისევ ბარი, ისევ თოხი, მიწა უნდა გადავბარო.
აგრონომებს დაავალეს: თვალ ადევნეთ შემოსავალს,
გადაბრუნდა ქვეყანა და გლეხი ელის მთელ მოსავალს!
ბრიგადირებს „მბრძანებლობა“ ჩამოერთვათ რა ხანია,
წელს პირველად ნიგვზის ძირმა ვერ მიართვა კაკალია!
ყარაულმა დაიკვნესა: გამიუქმეს შტატიაო,
სჯობს, რომ მიწა-წყალს მივხედო, გამოვზარდო ბატიაო.
მეველესთანაც ბოდიში, გლეხი იცავს თავის ყანას,
შემოდგომაზე მიიღებს ყველაზე მეტ შემოსავალს.
კოლექტივი დაიშალა, გაიღვიძა მიწის მუშამ,
უხარია და მუშაობს, რომ არ სთხოვენ მინიმუმსა,
რა ყოფილა ჩემი, შენი, ყველა ვშრომობთ ძალიანა,
დღის საათები არ გვყოფნის, ღამეს ვატანთ მთვარიანად,
ტრაქტორები აღარ გვინდა, უღელს გავთლით და კავსაო,
ძველებურად მიწას დავხნავთ, დავიყენებთ ნიშასაო.

ჟუჟუნა მეშველიანი.

# ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან

ლანძღვა-გინება—საშუალებაა, რომელიც იხმარება ჩვენს პრესაში რაიმე საკითხის დასამტკიცებლად.
მისალმება—ეს იყო ძველი ჩვეულება, რომელიც, ზოგიერთმა ახალმა ნასწავლმა უარყო.
მანეთი—თავსატეხი საგანი
მონა—რუსეთის სტაჟიანი მოქალაქე
მუსიკა—ტყვიების ზუზუნი
მუშტი—პოლიტიკური სალაში
მუჭი—გლეხის პურის საწყაო
კლიტე—პირზე დასადები საგანი
კონდახი—რუსეთის მოქალაქის ხუტკის მოსიფხანი საგანი
ლაპარაკი—აკრძალული ხილი
ლხინი—სამშობლოსათვის თავდადება
მათრახი—პოლიტიკური წვრთნის იარაღი
მარხვა—ღარიბების სადილ-ვახშამი

# მამა რუსეთის მიერ შვილად მონათლული ქართველის პასპორტი

სიმაღლე—დამდაბლებულ-დაკნინებული
თვალები—ახვეული
ცხვირი—ჩამოშვებული
ყური—აცქვეტილი
პირი—დაცული
შუბლი—გაშლილი (თავისუფლების იდეალებით)
წარბები—შეკმუხვნილი
ყბები—კონდახით დამტვრეული
ხელები—შეკრული
ფეხები—შებორკილი
მუხლები—მოკვეთილი
თავი—გალაყებული
წელი—მოხრილი
კუჭი—მიმხმარი
გული—გასიებული
სხსლი—გამშრალი

# სიყვარულო, ვინ რა იცის, რა ხარო...

რაჭველი—სიყვარულისათვის ქვედროულას გავყვები, ჰი...

იმერელი—შეხედე, შეგხედა, დაწვი-დაგწვა და ქე გაგირიგა მაშვალმა, ახლა ზიხართ და ერთმანეთის შეხედვა აღარ გინდათ.

მეგრელი—სიყვარული! ქო პატენი, კაი პატიოსან კაცს ცხენის მოსაპარად წასვლას გადაადებინებს.

ქართველი—რას ამბობ, საუღლე ხარივით ამომიდგება გვერდში.

ოსი—ქალს მოიყვან, სენი წილიმე, ოჯახს მუშა შეემატება, წამოწექი და იძინე.

ლეჩხუმელი—საბარავი და საოთხარი გამინახევრდებაო.

# სპარტაკიადის პროგრამით

ტრადიციული რაიონის საშუალო სკოლების სპარტაკიადა წელსაც გაიმართა. მის პროგრამაში შედის სპორტის 11 სახეობა, მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, მკლავჭიდი და თხილამური.

სპარტაკიადა დაიწყო **მძლეოსნური მრავალჭიდით,** რომლის პროგრამაში იყო რბენა 100 მეტრზე, კროსი 2000 მეტრზე და 700 გრამიანი და 500 გრამიანი ყუმბარის ტყორცნა.

**100 მეტრზე რბენაში** გოგონათა შორის მეტი სისწრაფე გამოავლინა მედეა მურცხვალაძემ. მას წამით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა ირმა კოპალიანი. მესამეზე—შორენა ლეთოდიანი (ჩხუტელის საშუალო სკოლა, პროფსასწავლებელი, ცაგერის საშუალო სკოლა).

ვაჟებს შორის პირველობა არავის დაუთმო სულხან ჯაბურიძემ. მას წამებით ჩამორჩნენ და მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს თამაზ ურთმელიძემ და კახა გუგავამ (ლასურიაშის საშუალო სკოლა, ლაჯანის სკოლა-ინტერნატი და ცაგერის პროფსასწავლებელი).

გოგონებში **1000 მეტრზე** რბენაში ყველაზე ძლიერი იყო ირმა კოპალიანი, მეორე ადგილზე გამოვიდა შორენა ლეთოდიანი, ხოლო მესამეზე რიმა ლიპარტელიანი (ოყურეშის, ცაგერისა და ბარდნალის საშუალო სკოლები).

**კროსში** ვაჟთა შორის 2000 მეტრზე პირველობა არავის დაუთმო და პირველი მოვიდა ფინიშთან იაგო სილაგაძე, მეორე—ჭაბუკა მუშკუდიანი, მესამე—კახა გუგავა (ჩხუტელის, ოყურეშის საშუალო სკოლები, პროფსასწავლებელი).

**ყუმბარის ტყორცნაში** გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ნანა მამაოდაშვილმა, მეორე—შორენა ლეთოდიანმა, მესამე—მედეა მურცხვალაძემ (ოყურეშის, ცაგერისა და ჩხუტელის საშუალო სკოლები).

ვაჟთა შორის **ყუმბარის სროლაში** ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა გია კოპალიანი, მეორე ადგილი დაიკავა თამაზ ურთმელიძემ, მესამე—ზაზა კაჭკაჭაშვილმა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი 54 ქულით მოიპოვა ჩხუტელის საშუალო სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა, მეორე ადგილზეა 48 ქულით პროფსასწავლებლის გუნდი, ხოლო მესამეზე 45 საჯარიმო ქულით—ოყურეშის საშუალო სკოლის მრავალჭიდელები.

შეჯიბრებაში გამარჯვებული ინდივიდები და გუნდები დაჯილდოვდნენ სიგელებით და დიპლომებით.

უნდა ვუსაყვედუროთ რაიონის მეორე ზონაში არსებული სკოლების ხელმძღვანელებს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, რომლებიც შეჯიბრებაზე არ გამოცხადდნენ.

**ჯ. შაუბუღიანი.**
**ცაგერის სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.**

# ჭილოცავთ

**მაიკო თუნგიას!**

გილოცავ დაბადების დღეს. ვნატრობ და გისურვებ დიდ მომავალს, ჭეშმარიტ სილამაზეს—რასაც კარგი ქართველქალობა ჰქვია.

**თინიკო შკუბულიანი.**

**ნინელი, გურამ ცხვედიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, ერის სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს. კიდევ მრავალ აკვანს დაეშვენებინოს თქვენი ოჯახის ფუძე-ჭერი.

**მახაშის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.**

**ნინო ჯუმბერის ასულ სხირტლაძეს გიზო გრიშას ძე მეშველიანს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის სასახელო ვაჟკაცი. იცოცხლეთ და იმრავლეთ.

**ცირა, გენადი სილაგაძეები.**

**ეთერ და ნოდარ სილაგაძეებს**

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. მტკიცე ქართული ოჯახი შეექმნას. აკვანთა სიმრავლე და სიყვარული დაბედებოდეს.

**სასურსათო კომბინატის თანამშრომლები.**

**ზაურ გალაქტიონის ძე გუგავას**

გილოცავთ დის ბედნიერებას. ვუსურვებთ შვილმრავალი ოჯახის შექმნას.

**სასურსათო კომბინატის თანამშრომლები.**

# ჩვენ ... კვირკაშვილი

გარდაიცვალა დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1944 წლიდან, ცაგერის რაისაავადმყოფოს ექიმი-თერაპევტი **მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილი.**

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, გამოცდილი მკურნალი, რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის დაუღალავი მებრძოლი.

მ. გ. კვირკაშვილი დაიბადა 1922 წ. ცაგერის რაიონის სოფ. ჩხუტელში. 1940 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა. იმავე წელს გაიწვიეს წითელ არმიაში და მონაწილეობდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, სადაც მიიღო მძიმე ჭრილობა და დემობილიზებულ იქნა არმიიდან.

1943-1944 წლებში მუშაობდა ცაგერის სამხედრო კომისარიატში მეორე ნაწილის უფროსად. 1944 წლიდან მ. კვირკაშვილი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1949 წელს.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მ. კვირკაშვილი დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და აქტიურად ჩაება მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ცაგერის რაისაავადმყოფო - პოლიკლინიკის თერაპევტად და სამოსამართლო ექიმად, ცაგერის რაისაავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ და სხვა.

სადაც კი უმუშავნია, მ. გ. კვირკაშვილი იჩენდა საქმისადმი სიყვარულსა და მონდომებას, გულის ხმიერებას ავადმყოფისადმი, ერთგულებას მეგობრებისა და ამხანაგებისადმი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

მ. გ. კვირკაშვილი თავის დიდ სამსახურებრივ მოვალეობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებას. წლების განმავლობაში იყო პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე, შედიოდა რაიონის პარტიულ და საბჭოთა აქტივში.

მ. კვირკაშვილის სახით რაიონის მშრომელებმა და მთელმა სამედიცინო პერსონალმა დაჰკარგეს ღვაწლმოსილი მკურნალი და უღალატო მეგობარი, საყვარელი ადამიანი.

ოჯახი, ნათესავები და ახლობლები, მეგობრები, კოლეგები მოწიწებით მოიხსენიებენ მიხეილ კვირკაშვილის სახელს.

**ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.**

**რედაქტორის მოადგილე**
**მ. ძნელაძე.**

---

**რაიონის სამედიცინო საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა რაისაავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე**
**მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილი**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

მეუღლე ზაირა ურთმელიძე, შვილი კახაბერი, სიდედრი ქენია, სიმამრი კოშია, ცოლისდები დოდო, ფაფალა, ლელა, ციცო, ქვისლები ანზორ, მერაბ კოპალიანები, ჯემალ ლაკვეხელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოჩა სერგოს ძე ჩუთლაშვილი**

დაკრძალვა 17 ნოემბერს, შაბათს, ქ. თბილისში. გამოსვენება კახეთის გზატკეცილი №48, ბინა №11-დან.

---

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის და შრომის ვეტერანი

**მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულს ოჯახს.

---

კოლია ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს თინა და ნინო კვირკაშვილებს მეუღლისა და მამის

**მიხეილ კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ნუგზარ საღინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოთარ ხაბულიანს დარამაზ კვირკაშვილს მძახლისა და დეიდის

**ქეთევან გოლეთიანი-მელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ელგუჯა, შურმან, ბორია, ავთო ბენდელიანები, მურმან ქურასპედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მიხეილ კვირკაშვილი**

---

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შურა, ოთარ ხაბულიანებს მძახლის

**ქეთო ესტატეს ასული გოლეთიანი-მელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

კეკური ხეცურიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მიხეილ კვირკაშვილი.**

---

დედა ნადია, მამა რომანი, ძმა რომეო, ბებია თინა, ბაბუები გერონტი საღინაძე, რუბენ, ვარდენ ჩარკვიანები, ბიძები ვაჟა (ჯაბული), გოგი, მამუკა საღინაძეები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანი.**

დაკრძალვა 22 ნოემბერს, ხუთშაბათს სოფ. ჭალისთავში.

---

ხათუნა, შოთიკო კოპალიანები თანაუგრძნობენ მარინე, დათო ხაბულიანებს დედისა და სიდედრის

**ქეთო ესტატეს ასული გოლეთიანი-მელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1979 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი დ. გორგასლიძე თანაუგრძნობენ ნინო კვირკაშვილს მამის

**მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ჯიბილო, მერაბ, ოლეგ, ედიშერ, ზინა, თამარ, ანიჩკა ნემსწვერიძეები, ისმაილ, იაშა, ალეკო მიქაუტაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლეილა და ლიდა ნემსწვერიძეებს **შალვა ბიქტორის ძე ახვლედიანის** გარდაცვალების გამო.

---

მედიკო ბენდელიანი, პინა გოლეთიანი, ნატაშა, ლოლა კოპალიანები, ზინა ჭაბუკიანი, ნანა ცვარიანი, მარო ბერიძე, ნორა ჩხეტიანი თანაუგრძნობენ ნეოლინე საღინაძეს ძმისშვილის

**ჯუნგლი საღინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ომარ, აფთიონ კოპალიანები, ბიქტორ, ხვიჩა, თამაზ, ჯონდო საღინაძეები, იროდი ბენდელიანი თანაუგრძნობენ ციცო და მერაბ კოპალიანებს სიძის

**გოჩა ჩუთლაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს დარეჯან ახვლედიანს მაზლის

**ბორის გიორბელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლევან ჩიქოვანი, შალვა ცვარიანი, შიო ახვლედიანი, გელა ხვადაგიანი, ნოდარ ცვარიანი იუწყებიან

**მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილის**

გარდაცვალებას.

---

რუბენ, ბადრი, ფოთოლა, ქუქუნა, ვარდენ ჩარკვიანები, დოდო, ბუჭუ ახვლედიანები, დემურ ქომეთიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანი**

---

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცო ურთმელიძეს სიძის

**გოჩა ჩუთლაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ენერგოგასაღების ცაგერის უბნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გოგი საღინაძეს დისშვილის

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ხალხის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის ბიბლიოგრაფიული კერძოანების ცაგერის სტამბა.